საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-01/8714
16/12/2014

8714-2-01-2-201412161743

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)

დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს

ელ–ფოსტა: lashasenashvili@gmail.com

ბატონო სერგი,

მიმდინარე წლის 08 დეკემბერს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში შემოვიდა, თქვენი 2014 წლის 04 დეკემბრის N 811 წერილი.

აღნიშნული წერილის პასუხად, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გიგზავნით მშენებლობის განხორციელების ვადებს საბიუჯეტო გეგმების გათვალისწინებით დანართის სახით.
ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა დაიწყო 2006 წელს და სამუშაოების დასაფინანსებლად სახსრები გათვალისწინებულ იქნა „საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის გამოყოფილი ასიგნებებში და შესაბამისად შემდგომ წლების ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებებში, კერძოდ 2006 წელს დაწყებული იქნა თბილისი–სენაკი–ლესელიძის საავტომობილო გზის ნატახტარი–აღაიანის 27–43 კმ მონაკვეთის რეკონსტრუქცია–მოდერნიზაციის დაფინანსება, 2007 წელს დაწყებული იქნა თბილისი–სენაკი–ლესელიძის საავტომობილო გზის აღიანი–იგოეთის მონაკვეთის რეკონსტრუქცია–მოდერნიზაციის დაფინანსება, 2008 წელს დაწყებული იქნა თბილისი–სენაკი–ლესელიძის საავტომობილო გზის იგოეთი-სვენეთის მონაკვეთის რეკონსტრუქცია–მოდერნიზაციის დაფინანსება, 2009 წელს დაწყებული იქნა თბილისი–სენაკი–ლესელიძის საავტომობილო გზის სვენეთი-რუისის მონაკვეთის რეკონსტრუქცია–მოდერნიზაციის დაფინანსება, 2010 წელს დაწყებული იქნა ქ. ქობულეთის ახალი შემოვლითი გზის რეკონსტრუქცია–მოდერნიზაციის დაფინანსება, 2011 წელს დაწყებული იქნა აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი–ქუთაისი–სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა–მოდერნიზაციის დაფინანსება, 2012 წელს დაწყებული იქნა თბილისი–სენაკი–ლესელიძის საავტომობილო გზის რუისი-აგარის მონაკვეთის რეკონსტრუქცია–მოდერნიზაციის დაფინანსება, 2013 წელს დაწყებული იქნა სამტრედია–გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ0–კმ50 მონაკვეთის მოდერნიზაცია–მშენებლობის დაფინანსება, ხოლო 2014 წელს დაწყებული იქნა თბილისი–სენაკი–ლესელიძის საავტომობილო გზის აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთის რეკონსტრუქცია–მოდერნიზაციის დაფინანსება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და

ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე

პასუხისმგებელი პირი

დეა ქვრივიშვილი

სამმართველოს უფროსი

აპარატი

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge